მოკლე ბიოგრაფია
ეკატერინე ბაღიშვილი არის კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი. მინიჭებული აქვს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. უძღვება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის, სახელშეკრულებო სამართლის, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის, შედარებითი სახელშეკრულებო სამართლის და საერთაშორისო კერძო სამართლის სალექციო კურსებს საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების საფეხურზე. 2003 წლიდან ეწევა აკადემიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. მოპოვებული აქვს მაქს პლანკის სახ. გრანტი (2013 წელი), ასევე DAAD-ს (გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური) სტიპენდია (2014 წელი) შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტში (ჰამბურგი, გერმანია) კვლევების ჩატარების მიზნით; იუსტიციის სამინისტროს გრანტი (პროექტი "უცხოური ელემენტის შემცველ საქმეებზე სანოტარო მოქმედებათა შესრულების გზამკვლევი". 2022 წელი); ევროკავშირის გრანტი "ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს მკვლევართა მობილობა" (პროექტი: "უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულება ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში". 2023 წელი) მისი სამეცნიერო ინტერესები ფოკუსირებულია საერთაშორისო კერძო სამართლის, ასევე ვალდებულებითი სამართლის საკითხებზე, განსაკუთრებით კერძო სამართლის ევროპული უნიფიკაციის კონტექსტში. არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის თანაავტორი.
გამოქვეყნებული სტატიები
1. Bagishvili Ekaterine, 2021., The Impact of Fundamental Rights on Legal Capacity System of Natural Persons in Georgia. "Contemporary Issues in Private Law and Impact of the Constitution on Private Law," Conference Proceedings Book., pp. 349-361 2. ბაღიშვილი ეკატერინე, 2023., უცხოური ელემენტის შემცველ საქმეებზე სანოტარო მოქმედებათა შესრულების გზამკვლევი (წიგნი). გვ. 1-82 3. ბაღიშვილი ეკატერინე, 2019., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 327-341, ლადო ჭანტურია (მთ. რედ.)., გვ. 89-180